

რედაქცია

სიმონსონის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უბან.
სქელას-მთაწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. ვარკეთილში მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлис, № редакціи «Дრობა»
«დროების» ფასი
მთელი წლისა . . . 9 მან. სამის თვისა . . . 3 მან.
ქვესის თვისა . . . 5 მან. ერთის თვისა . . . 1 მან.



ბამონდის უძველესი ორშაბათის ბარდა.

შანი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულის რუსულს და სხვა ენებზე.
თუ საქიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოწმებს დასახელებად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბუნებს ავტორს.
(გაფრე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპუკი)

ამ თვის 16-ს ქართველთა შორის წერა კითხვის ბავაშვრცელთა შორის საზოგადოების სამწევრო გადაბანილ იქმნება ახალ სადგომში, პირველის კლასიკური გიმნაზიის უბან, ნაზაროვის სახლში, სიმონსონის ქუჩაზე (ს. ათულის ემორე).

არწრენის თეატრი.
დღეს, 12 ოქტომბერს
ქართული დრამატული დასისაგან წარმოდგენილი იქნება
I
თვალთ-გაქსობა
II
სვალკები
III
სვალკები
IV
სვალკები

სვალკები
(«ჩრდილოეთის საფრანგული»)
10 ოქტომბერს.
ხარკოვი. 18 ოქტომბერს დაიწყება მადნების შემუშავებელთა კრება.
ჩრდილოეთისკენ ჭარხლის მოსავალი მარმანდელზე უკეთესია; ძალიან ბევრი უიდელობენ მას; მაქარი წრეულ უფრო ბლომად გაკეთდება მარმანდელზე.

«დროების» ქელტონი, 12 ოქტომ.

ლიტერატურული შენიშვნები
(დასასრული *)
სწორად ვსმენია, რომ ჩვენი მწერლობა და მკითხველი საზოგადოება ვითომც უცოდინარი იყოს ლიტერატურის ენისა; ესრეთი აზრი ახალი არ არის; ის კარგა ხანია დასტურია ჩვენი მწერლობის ერთს ნაწილში; იმასვე იმეორებს «ივერიაში» პ. უ—ც, რომელიც ამბობს ვითომც «არასოდეს ქართველი მკითხველი არა ყოფილა შეუსწავლელი ლიტერატურის ენისა, როგორც ესლა, რომ მწერლობაში მუშაობს ბევრჯერ უწრთენელი კალამი». საზოგადოდ უნდა ვსთქვათ, რომ ქართული ლიტერატურული ენა ისე შეუმუშავებელი და გაწრთენილი არ არის, როგორც სხვა უფრო განათლებულის ხალხებისა; მაგრამ ზოგიერთა ბებრული ჩივილი და ღრენა საფუძვლიანად არ მიგვიჩნია; მათს

პარკში. ოქციონადური ცნობებიდან სჩანს, რომ საფრანგეთში ხორბალი ას. ორმოც-და-ათი მილიონი გეგტოლიტრა მოსულა.
კაბარბურში. ხელმწიფე იმპერატორმა ინახელა ბუღგარიის მყოფი მინისტრები სობოლვეი და გაულებარსი.
კონსტანტინოპოლის ბანკის საქმე დაწინაურდა გასარჩევლად სენატის სისხლის სამართლის კასაციურს დეპარტამენტში 1 ი ნომბრისთვის.
რა წამსვე შეტერბურგში დაბრუნდება გრაფი პალენი, რომელსაც ამ დღეებში მოელიან, მაშინვე ებრაველთა კომისიის სხდომები დაიწყება.
ხვალ სენის მოედანზე ცენტრალურ ბაზრის საძირკველს ჩაჭურინან; ეს ბაზარი ამენებელი იქმნება უცხო ქვეყნების ბაზრების მზგავსად, თითქმის მარტო რკინისაგან, მუშისაგან და ასქალკისაგან, მარმარილოს სტოდები იდგება შიგდა უვლგან წყალი ექნება გაყვანილი.
მოსკოვი. დღეს წავიდა აქედამ იერესალემის პატრიარქი ნიკოლიმი.
ხარკოვი. იარმარგანე ფელის გადახდა მძიმედ მიდის, მაგრამ ჯერ-ჯერობით პროტესტებისა არა ისმის რა.
აქ შესდგა საზოგადოება ოპერის თეატრის ასაშენებლად; ამ

გოდებას რომ მიუყვით, მაშინ მეფე შარნავაზის დროს ენა უნდა ვამჯობინოთ და მის შემოღებას ვეცადოთ. მითობ დიდი განსხვავებაა ძველის ქართული და ახლის ლიტერატურული ენის შორის, მაგრამ ამაში საშუაზრო არა არის-რა. საქართველოს ცხოვრება ისეთს რიგზე ყოფილა მოწყობილი, ისეთს პირობების ქვეშ ვითარდებოდა ქართული კულტურა, რომ ძალია უნებურად უნდა დასტყობოდა ჩვენს მწერლობას სხვა-და-სხვა ტომთა ენის და განათლების გავლენა. მრავალ აზიურ ენებს ჰქონია ზედ-გავლენა ქართულს ენაზე და ეს გავლენა სამუდამოდ შესამჩნევი დარჩენილა. შექველია, რომ ა არაბული, სპარსული, თათრული, ბერძნული და ლათინური ენები მოქმედებდნ ქართულს ენაზე, მაშინაც ბევრი სხიოდნ ენის წაბილწვაზე, გარყვანაზე, მაგრამ მაინც იძულებულნი იყენენ ჭაქტს შერიგებოდნ. შესაძლებელია, რომ ქართულის ენის და მისი გრამატიკის სიმდიდრე, გრამატიკული ფორმების მრავალწირობა, ენის მოხერხებული მიმოხერა არის შედეგი სხვა-

საზოგადოებას ნახევარ მილიონი თანხა აქვს.
პარკში. ტონკინიდან იწერებიან, რომ ჩინეთის ჯარები, რომელთაც სამზღვარი ეპურათ მონკაის ახლო, დაბრუნდნენ კანტონში.
ლონდონი. გაინკანგში ეშინიანთ ზღვის ავანგების თავდასხმისა, რომელთა რიცხვი 1200 კაცამდეა და რომელნიც დაბანაკებულნი არიან ქალაქიდან 12 მილის სიშორეზე; თემცა საფრანგეთის გარნიზონი საგაოდ მიარჩიათ იმათ დასახვედრად. მაგრამ მაინც კიდევ მოელიან მოშველე ჯარს.
ტრინსტი. დღეს აქ ცოტა მიწისძვრა იყო.

თბილისი, 11 ოქტომბერს.
სახელმძღვანელო წიგნებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ხალხის განათლების მსვლელობაში. შოველი მიმართულება ამ საქმეში ცოტად, თუ ბევრად უძღურია, უფხვო და წარმატალი, ვიდრე იგი არსებობს მხოლოდ პროგრამებში, პლანებში და არ არის განხორციელებული სახელმძღვანელოებში. ამ მდგომარეობაში მყოფი მიმართულება პირველივე წინააღმდეგი მოძრაობის, პირველივე მოპირდაპირე ქარის მსხვერპლი შეიქნება ხოლმე. მაგრამ თუ რომელიმე მიმართულება ვადვიდა პროგრამებიდან და პლანებიდან სამოსწავ-

და-სხვა ენების ზედ-გავლენისა, რომელთაგან ჩვენი მწერლობა ითვისებდა უფრო განვითარებულს ფორმებს გრამატიკისას, ჩვენი მეცნიერების, მწერლების და პოეტების ნაწარმოებებზე უქველია სხვა უცხო მწერლობის და მეცნიერების ზედ-გავლენა, რადგანაც ჩვენი სულიერნი მამანი სწორად განათლებას იღებდნ უცხო ქვეყანაში და სწორად სთარგმნიდნ უცხო მწერლების ნაწარმოებთა. ამ გარემოებამ სამუდამოდ დასტოვა თავის ბეჭედი ჩვენი მწერლობაში.
მხლა ჩვენი ინტელიგენცია იღებს განათლებას და იკვებება უცხო მწერლობის და მეცნიერების ნაწარმოებებით; ამიტომაც ესლაც უცხო ევროპელ მწერლობათა აქვთ შესამჩნევი ზედ-გავლენა ჩვენს მწერლობაზე; ესლაც გონებას ვავარჯიშებთ უცხო ენებზე და ამიტომ ვითვისებთ უცხო ენების კონსტრუქციებს, ზოგჯერ სიტყვებს, რომელთ ბადალი არ მოიპოვება ჩვენს დედა-ენაში; მაშასადამე, ევროპიულ ენათა ზედ-გავლენა ჩვენს ენაზე აუცილებელია. მეროპიულ ენათა გრამატიკული ფორმები განვითა-

ლო წიგნებში, იგი ღრმათა სდგავს ფესვებს, შეიძენს სიმტკიცეს და მისი ამოფხერა ძალიან ძნელი ჰხდება. ამ სახით სხელმძღვანელო ორ-პირი ბასრი ხანჯალია, რომელსაც შეუძლიან დიდი სიკეთეც დათესოს და დიდი სიბოროტეც ჩანერგოს სკოლის და ხალხის ცხოვრებაში. თუ მასში ინატება სალი, გონიერი მიმართულება, დამკვიდრებული პედაგოგიურს და ეროვნულს პრინციპებზედ, სახელმძღვანელო აყენებს სწავლას სწორე და მტკიცე გზაზედ, აწარმოებს მას ნაყოფიერად და უწყევს დიდს სამსახურს სკოლასაც და საზოგადოებასაც. მაგრამ თუ იგი ასცდენია პედაგოგიურს დედა-აზრსა, მოსწყვეტია ეროვნულს ნიადაგს და ემსახურება რომელსამე უკუღმართს მიმართულებასა, ხალხის განათლების მაგიერ, მაშინ სახელმძღვანელო შეაღვენს სკოლისათვის და ხალხისათვის ნამდვილს საწამლავსა.

ამ გვარი მნიშვნელობა სახელმძღვანელოებისა იყო იმის მიზეზი, რომ ყოველს ცოტაოდნად მაინც შეგნებულს ქვეყნებში მუდამ დიდს ყურადღებას აქცევდნ მათ. ნასწავლთა დასი, რომელიც წინამძღოლია და გზის გამკვლევი ხალხისა, ყოველთვის სიფრთხილით იქცეოდა ამ საქმეში, მეტადრე იმ ქვეყნებში, სადაც სკოლა სურდათ გახადნათ პოლიტიკურ იარაღად. იგი იყო დაუძინებელი მცველი პედაგოგიურის და ეროვნულის პრინციპებისა და არც ერთს სახელმძღვანელო წიგნში მას რებულნი არიან მეცნიერების და მწერლობის მოთხოვნილებებისამებრ. რადგანაც მათი შეთვისება ჩვენ მიერ აუცილებელი საქმეა, ამიტომაც მაგ ჭაქტსაც უნდა მოვურიგდეთ, თუმცა იმისათვის არ უნდა დავთრგუნოთ ერთიანად სამშობლო ენა. მთავალი უნდა ვადვენოთ ქართულის ენის ბუნებას და ვარჩიოთ ისეთი ფორმები დედა და უცხო ენებიდან, რომელნიც უფრო მტკიცედ გამოხატენ რთულს და მალალს აზროვანს წარმოდგენებს. მა ინტელიგენციის და მწერლობის მოვალეობაა. ზოგიერთნი გონება მიხდილინი კი, შეეყრებიან თუ არა მწერლობაში უცხო კონსტრუქციას, რომელიც ძველს წიგნებში ვერ გამოუხერგიათ, გოდებას მოჰყვებიან და ენის წაბილწვას და გარყვანას სჩივიან.
თუ ამ ოცი წლის ქართულს მწერლობას დავაკვირდით, მაშინაც შესამჩნევე განსხვავებას შევნიშნავთ სხვა-და-სხვა წლების ნაწერებ შორის; თვალი გარდაავლით თუნდ პირველ წლების «დროებას» და ნახავთ, რომ მას სქეთ ენა შესამჩნევად შეიცვალა.

*) ის. «დროება» № 201.

ვერ შეეპარებოდა უკუღმართი, მიმართულება... ღვდა-ენის სახელმძღვანელოებს ვრცელს საფუძველზედ აყენებდნენ, ფართო თვისებას აძლევდნენ მაშინაც კი, როდესაც ზემო სწერათა მიმართულება თხოულობდა მისი ვიწრო კალაპოტში მოქცევას; სახელმწიფო-ენის სახელმძღვანელოებს ადგენდნენ ისე, რომ შეუძლებელი გაეხადნათ მისი დაწყება, ვიდრე ღვდა-ენას, სამ-შობლო წერა-კითხვას და გრამატიკას არ შეისწავლიდნენ მოსწავლენი. მასაც დაახლოებით აქვს გაცნობილი ხალხის განათლების თავ გადასავალი, მაგალითად სლაფიანთა ტომთა და ვენგრიელთა შორის პესტრიის იმპერიაში, იმან კარგად იცის, რავედნად მართალია ჩვენი სიტყვები.

სამწუხაროდ ჩვენ არ შეგვიძლიან დაიკვივროთ ამ დიდ მნიშვნელობიან საქმეში ფიზიკური შეხედულობა და ჯეროვანი სიფთხილე. ჩვენგანი ბევრი არ ხელმძღვანელობს ნათელი აზრით, ჩვენ შორის ბევრმა არ იცის განვითარებით, ზედ მიწვევით, თუ რას უნდა ემსახურებოდეს რომელიმე სახელმძღვანელო და რას უნდა ერიდებოდეს.

ამიტომაც ხდება, რომ ერთი ადგენს ქართულს ანბანს და საკითხავ წიგნსა ოსურ-აზნაზურს სისტემაზედ, საიდგანაც ქართული ანბანი გამორიცხულია, მეორე ბეჭდავს ართიმეტკას და ორი ათეულით ათავენს მთელს კურსსა—ქართულს ენაზედ ამ საგნადგან მეტი არ უნდა ისწავლებოდესო, მესამე სთარგმნის რუსულიდან სახელმძღვანელოს ისე, რომ ნახევარი სიტყვები რუსული რჩება ისევე, მეოთხე ადგენს სახელმძღვანელოს უკუღმართ პროგრამაზედ. ძიდევ კარგი, რომ თვითონ ჩვენი საზოგადოება და ლიტერატურა

მს გარემოება შედეგია ზემოთ აღწერილ უცხო ენების ზედ-გავლენისა. ზერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ვერ შემუშავდება ჩვენი ენის გრამატიკა; ჩვენი ენა და მისი გრამატიკა დღით-ღღე ვითარდება და იცვლება, და ჯერ ახლო არ არის ის დრო, როდესაც ჩვენი ენა მიაღწევს იმ წერტილამდე, რომელზედაც სდგანან მეროპიული ენები.

ძიდეთ რაოდენიმე ჩვენი წარჩინებული მწერლები, თუნდ ერთის დროისა; დააკვირდით მათს ნაწერებსა და თქვენ შეამჩნევთ განსხვავებასა არა მარტო ენის კონსტრუქციებში, არამედ მართლწერაშიაც; მაგრამ ვერც ერთს მათგანს ვერ შევსწამებთ ენის უცოდინარობას. მოველივე უსწორმასწორობა ენაში და გრამატიკაში მაშინ მოისპობა, როცა ერთის მხრით შევითვისებთ უცხო ენების საუკეთესო ფორმებს და კონსტრუქციებს და მეორე მხრით, როცა ჩვენი ყოფაცხოვრება შეიცვლება და ჩვენს ენას ცხოვრებაში «გზა ფართო» მიეცემა. მანამდის ბ. პ. შ.—ს ჩივილი ენის უცოდინარობაზე ჩვენი ახლის მწერლების და საზოგადოებისაგან უსაფუძ-

რა ფიზიკობს და საზოგადო აზრის მოძრაობა იმდენად ძლიერია, რომ ამ უკუღმართ მოვლენათა მოქმედებას აქარწყლებს, საობს და მათ კვალს სრულიად შლის.

შეელოზედ მანებელი ეს მიმართულება მაშინ არის, ვიმეორე როდესაც იგი ხორციელდება სამოსწავლო წიგნში, სახელმძღვანელოში. როდესაც რომელიმე სკოლას ჰყავს მასწავლებელი, ამ მიმართულებით დამახინჯებული მაშინ ენება ამ გვარი პირისა თავდება ამ სკოლით; მაგრამ თუ ეს პირი ადგენს რაიმე სამოსწავლო წიგნსა სკოლებისათვის, მაშინ იგი ყოველს სკოლას სწამლავს იმავე სენითა, რომელიც მისდამი მინდობილს სკოლას ტანში გასჯდომია.

ზოგს კარგად შეუფნია ესა და სკდილობს სრულიად განთავსუფლდეს ჩანერგულ მიმართულებისაგან, სწავლობს ხალხის განათლების მსვლელობას უცხო ქვეყნებში.

მაგრამ ბევრი სრულიად მოკლებულია ამ გვარს შეგნებასა. მას არც განვითარება, არც სწორე მიმართულება მიაჩნია საჭიროდ საზოგადო მოქმედებისათვის. მას ჰგონია, რომ კაცს მხოლოდ თავის გამოჩენის სურვილი უნდა ჰქონდეს, სხვა არაფერი. და რადგანაც მათ მხოლოდ ის იციან, რასაც იმათ ასწავლიდნენ და როგორც ასწავლიდნენ, ამიტომ იგინი არიან სრულნი მონანი ჩანერგულ მიმართულებისა.

შათავებთ ამ ქამად ჩვენ სიტყვას სურვილითა, რომ მეორეებს აერჩიოთ პირველების გზა და მათი მაგალითის მიხედვით წაებაძნოთ სახარების ცხრათა ბრძენთა ქალწულთათვის, რომელთაც სასიძოვს გზის განათებისათვის შევაგროვეს ჯერ საკმარისი წმინდა

ვლო იქნება, მეტადრე იმ პირებისაგან, რომელთაც არა რა გაეგებათ არც ლიტერატურულის ენისა და ნაწარმოებთა, არც გრამატიკისა. ჩვენი სიტყვა რომ ლიტონ სიტყვად არ ეჩვენოს მკითხველებს, ამისათვის ვუჩვენებთ მაგალითებზე, თუ რა უცხო მცოდნეა ბ. პ. შ., ჩვენი ლიტერატურულის ენისა. პეილოთ სამივე მისი წერილები, «ივერიაში» დაბეჭდილნი და ენაზოთ მისი ცოდნის ნიმუშები (ერთი უკვე ვაჩვენეთ); აი, სხვებიც: «სერგის ღვდ-მაშხა თუმცა შევიწროებით სცხოვრებდა» (გვ. 166), ან «იმის დროს ბუნებით საგნებს ასწავლიდნენ და ძალიან შეუყვარდა» (ვის? რა?); მესამე გვერდზე (168 გვ.) ვკითხულობთ: «ამ ხანებში ბიორგი წერეთელი მუთათისში იყო და მოიწვია დროებით რედაქტორათა (ვის ვინ მოუწვევია?). თუ თქვენ, მკითხველო, «დროების» ისტორია არ იცით, ძნელად მიხვდებით, ვის ვინ მოუწვევია რედაქტორათა. მს კიდევ არაფერი; უფრო კარგს მარგალიტებს შევხვდებით ბ. პ. შ.—ს ნაწერებში; ავიღოთ მისივე წერილი «მსმალოს სომხეთის საქმე» და იქ (74 გვერ.)

ზეთი და შემდეგ ვაიღენ მის მისაგებებლად.

შინაური ძროხისა

ამ ცოტას ხანში თბილისში აზრობს მოსკოვს ღინანსთა სამინისტროს მოხელე ბ. ბახი, რომელსაც მინდობილი აქვს «პრიკაზის» ანგარიშების გასწორება როგორც შევიტყუთ ყველა გაუთავებელი საქმეები «პრიკაზისა» სახელმწიფო ბანკის განყოფილებას გარდაეცემა.

მკითხველებს ვაცნობეთ იმ დღეს, რომ გაზეთის «თერგის» ცენზურა თბილისში გადმოაქეთო; ეს ამბავი ტყუილი, ან უკეთესი იქნება ვსთქვათ, ნაადრევი გამოდგა. ნაადრევე იმიტომ ვეძახით, რომ სექტემბრის დამდევს თერგის ოლქის უფროსის მოადგილეს ბ. იურკოვსკის წინადადება წარუდგენია გაზეთი «თერგი» ან სრულიად მოისპოს, ან ცენზურა თბილისში გადატანილი-იქმნასო. მტყობ. იურკოვსკის გაზეთი ძილს უფთხობს და კაცს ყოველთვის ის ურჩენია, რომ ძილის დამფთხობი პატარა შორს იყოლიოს. თუ ბ. იურკოვსკის სურვილი შესძულდა, სამწუხაროდ ბედი მოვლის ჩვენს თანამოძმეს და ჩვენ წრფელის გულით ვისურვებთ, რომ ეს ბედი თავიდან ასცილებოდეს.

შოთი დაეცაო—კიდევ-და-კიდევ სჩივიან ფოთელები და ამ ქალაქის მოთავენი კი თურმე სრულიად არა ზრუნავენ, რომ უმეტესის დაცემისაგან დაიხსნან. ზხათა მინისტრს გაუფლია შოთზედ და ქალაქის საუკეთესო წარმომადგენელთ არ განუცხადებიათ მისთვის არაერთარი თავიანთი საჭიროება, თუმცა საჭიროება

წაიკითხოთ შემდეგი: «ამისთანა დაწიოკებასთან უგზობა და უხილობა, მთავრობის საშუალო და დაბალი სასწავლებლების უქონლობა, მთავრობის უწესობა, ყველა ესეები მშრომელ სომხის ხალხს სიღარიბეში ამყოფებს, უსწავლელოდ არის (ვინ არის უსწავლელოდ? უხილობა და უგზობა?) და საშინლად დაჩაგრულია ყოველისფერში» (გვერ. 74). აი საუცხოვო ნიმუში წინადადებათა შეკავშირებისა; როგორც რუსები იტყვიან, «Чѣмъ дальше въ лѣсъ, тѣмъ больше дровъ» და ამიტომაც განავარძოთ: «ამ ორი საგნის სურვილი იყო» (გვერ. 76) და შემდეგ: «ოსმალოს ჩინოვნიკებისაგან სამართლის გამრუდება და მოქრთამება ისევე ძველი დარჩა, რადგანაც ისევე ძველებურის წესით ინიშნებოდნენ» (ვინ ინიშნებოდა!) (გვერ. 79); იქვე ვკითხულობთ: «თუ ოსმალოს ან ერთს სომხებთან რაიმე საერთო საქმე ჰქონდა, საზოგადო სახელმწიფო სასამართლოში, ან სახვანთქრო მოხელესთან უნდა მოსულიყო» (ვინ ვისთან უნდა მისულიყო: სომეხი თუ ოსმალა, თუ ქურთი?). მე 82 გვერდზე ვკითხუ-

შოთს მრავალი აქვს. ქალაქის გამგეობა ეხლა მძიმე ტვირთად გადატყვევია ამ ბედკრულს ქალაქს. ქალაქი თან-და-თან ცარიელდება თურმე და გამგეობაში შტატები კი ძველებურად არის დარჩენილი. პარგი იქნებაო, იწერებიან იქილამ, რომ ხმოსანის ძი—რის წინადადებას ყურადღებას მიაქცევდნ და გამგეობის წევრებს დაითხოვდნო. მხლანდელ უსაქმობის დროს საკმარისი არიანო ქალაქის თავი, სეკრეტარი და ერთი-მეორე მწერალი. პოლიციელების რიცხვიც რომ შემცირდეს, არც ეს იქნებაო ურიგო.

ამ ერთის კვირის წინად პროფინ ში დიდის ამბით გაუხსნიათ ორ-კლასიანი სასწავლებელი. ბახსნი-სათანავე 100 ყმაწვილს გამოუცხადებია სწავლის სურვილი; სკოლის გახსნაზე დასწრებიან მზრის უფროსი ბ. მეფისოვი, ღირექტორი ბ. ლევიციკი, კათოლიკეთ ეპისკოპოზი თავისი ამალით, ქალაქისა და იმის ყოველი დაწესებულების წარმომადგენელი. პარაკლისი გარდაუხდიათ ოთხი, რადგანაც აქ სცხოვრებენ ოთხის საწმუნოების აღმსარებელი: მართ-მადიდებელი, კათოლიკენი, სომეხი-გრიგორიანები დამაპმადიანნი. პარაკლისის შემდეგ ბ. ლევიციკის წარმოუთქვამს გრძობით აღესილი და ამ დღის შესაფერი სიტყვა, და ხალხისათვის აუხსნია სწავლის მნიშვნელობა და შეურყევეა მაჰმადიანებში ის აზრი, ვითომც სკოლა წესდებოდეს მათის გაქრისტიანებისათვის და ფესის დახურვის აღკრძალვისათვის. შემდეგ სკოლის გახსნისა ხალხს ბატონ მეფისოვთან უნადმინია.

გამოჩენილი გლდანელი დასცეს; ეხლა კი საეჭვოდ არ გათავებულა ქილაობა და ვერა-დღე, 9 ოქტომბერი, შეიძლება ჩაითვა-

ლობთ: «ინგლისის სამფლობელოს ინდოეთში სსჯა ევროპის ძლეობა (კიდევ რომელი ევროპაა?) სახელმწიფოთაგან ერთის ნაბიჯითაც არაიენ (?) მიახლოვდეს». მე 84-ვე გვერდზე სწერია: «დიდი მიწერ-მოწერა დაიწყეს ევროპის დიპლომატებში» და სხვ. და სხვ.

ამით გასინჯეთ, თუ რა მცოდნე ბძანდება ბ. პ. შ. ქართულის ენისა. ვერც ერთი ზემოთ მოყვანილი გრამატიკული და ლოგიკური შეცდომები ვერ ჩაითვლება კორექტურულ შეცდომათ. შეიძლება, ბ. პ. შ.—მ გვიპასუხოს, რომ ზემოდ მოყვანილ წინადადებაებს შეიფერებს ქართულის ენის ბუნება და მის თვისებას შეადგენსო. ამაზე ჩვენ უნდა უპასუხობთ, რომ ულოგიკობა და სიბნელე არ შეფერის არც ერთს ენას.

და აი ყოველ ამის შემდეგ ბ. პ. შ. ლაშქრობს მთელის საზოგადოების და მწერლობის ერთის ნაწილის წინააღმდეგ. მართლად ნათქვამია: «ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზედ მეტს იწველიდესო». მხლა მოვილაპარაკოთ ბ. პ. შ.—ს წერილების შინაარსზე. პირველად

ლოს იმ დღედ, როდესაც გლდანელის ნაქუ-
ბი სახელი გადავიდა ბაქოელ თათარს ალთი
აილულზე (ეს სიტყვა ნიშნავს ექვსის თვისასა
და ამბობენ გლდანელის წამქვევი სამის თვით
ჩვეულებრივად აღრე დაბადებულად). ალთი
აილულ განგებ მოვიდა ბაქოდამ გლდანელ-
თან საჭიდაოდ; ის არის მალაღობის ტანისა, მო-
სული, საშინელის ღონის პატრონი; იქნება 32
წლისა. ჭიდაობაზედ აუარებელი ხალხი დაეს-
წრო. თათარს უჩინოდ უნდოდა ჭიდაობა,
მაგრამ გლდანელმა არ ჰქნა. ვასვლით თა-
თარი დინდად გავიდა და გლდანელი ჩვეულებ-
რისამებრ ჰქცოდა. გლდანელის სამმა სარამამ
ფერ ჩაჩიქა თათარი; გლდანელმა დაუპირა
ამ დროს წაქცევა, მაგრამ თათარმა გადმოიღო
და გამოჩინილი ფილაგანი ისე დასცა ძირს,
რომ სპარაობა აღარა ჰქონდა, გამარჯვებულმა
თათარმა ერთი საზიზღარი საქციელი მოახდინ-
ა: ძირს დაცემულს გლდანელს გულში წინ-
ლი ჩაჭკრა; ვერ მოუვიდა ეს კარგად ალთი
აილულს, მაგრამ ბევრი ამბობდა: თათარმა
გლდანელს დალაქიშვილის სამაგიერო გადაუ-
ხადაო.

«დროების» კორექცია.

შემოდგომა ქიზიუში.

4 ოქტომბერს, ს. მანხარო.

ძლივს ედირას დაშინებულ ქიზიუელ
გლეხს მშვიდობით მოკრეფა კენსებისა.
დიდის სისარულით გაიარა რთველმა,
რადგან მრავალი გლეხის წლის საკვება-
ვი სარჩო ღვინოსედა არის დამოკიდე-
ბული. ზურის მოსაკვადი წელს ქიზიუში
სეტყვის გამე ურ მოვიდა რიგანა.

დაიწყო თუ ანა სოფლებში რთველ-
ში, მანწაწა ჩაჩიქებდა თავიანთ ჟო-
რებით გამოკრეხნენ სოფლებსკენ ტუბი-
ლის თუ ურწმის მუქთად მოსახვედრად.
ისე გაივსო სოფლები მანწაწა ვაჭრე-
ბით, რომ თითქმის ყველა, უფრო მე-
ბატონებს, კენსებში, ხუთი ექვსი ვა-
ჭარი ტრიალებდა და კუდავით დას-
დევდა უკან მეზატონეს. ლიტონის
სიტყვების ან კიდევ ორიადე «გამოკრე-

თვალი გადავავლოთ «ოსმალის სომ-
ხეთის საქმეს». ამ წერილში ავტორი
გვიხატავს სომხობის მოძრაობას, რო-
მელსაც საგნად აქვს სომხების ვინა-
ობის აღდგენა. წერილში ავტორს
მოჰყავს რაოდენიმე საინტერესო ფაქ-
ტები, რომელნიც თავის დროს ვაზე-
თებში იყვნენ მოყვანილნი. ეს წე-
რილი უფრო საინტერესო იქნებო-
და, უფრო გამალაშინებელი და
ცოცხალი ენით დაწერილი რომ
იყოს; უამისოდ წერილი ერთობ
«უხამსო» და უფროა და ჯეროვა-
ნად ვერ მოქმედებს მკითხველის გო-
ნებაზედ. საზოგადოდ უნდა ვსთქვათ,
რომ ეს წერილი ბ. პ. შ—ს ნაწე-
რებს, რომელნიც «ივერიის» იმავე
№-ში არიან დაბეჭდილნი, სჯობს
შინაარსით და დანიშნულებით.

მეორე წერილი ბ. პ. შ—ს («სერ-
გეი მესხი») უფრო საინტერესო გვე-
გონა, როცა კითხვას შევუდგებით,
მაგრამ ჩვენი იმედი ტყუილი გამოდ-
გა. ამ წერილის გარჩევას ეხლა არ
შევედგებით, რადგანაც განსვენებულ
მესხისადმი პატივისცემა ამის ნებას
არ გვაძლევს. ბ. პ. შ—ს, რომე-
ლიც თექვსმეტი წლის განმავლობა-

პეროვნისა შემწობით სტუდენტს მე-
ბატონეს ერთ კარგ საკრეფელს უფრ-
ძებს და ორიადე ჩაფ ტუბილს.

ან გვეგონათ ვითომ ვაღში ან ფე-
ლზედ მიჭქანდეთ. სრულებითაც არა,
ზოგი ნათლი-მამა ვარა, ზოგი მეგო-
ბარია და ამისთანა მოსათესაობით სტინც-
ლავენ უკველ დღე უფრძენს, თუ ტუბილს
და დატვირთულნი მიემურობან შინისა-
კენ. აქამდის გლეხი ვაჭრების ალებ-მიცემა
ში იყო მოქცეული, მაგრამ ესელა კი გლეხ-
მა ჰკუთ ისწავლა და ვაჭრებმაც უფრო მე-
ბატონებს მიმართეს.

წელს ჩემის თვლით ვნახე, რომ რაც
სიღნაღს მუქთად ვაჭრებისაგან ტუბილი
თუ უფრძენი გაიზიდა, სულ მეზატონე-
ბის კენსადამ იყო. სამწუხაროა, რომ
ჩვენი მეზატონეები თითქმის უნახვერებენ
მანწაწა ვაჭრებს თავიანთ სარჩოს, იმ
სარჩოს, რომელსაც წლითი - წლამდე
შეჭეულებს და მანჯად ამყარებს თავის
უფო-ცხვარებს. მომეტებულად წინა-
მხრის გლეხი თუ თავადი კენსებზედ
არაინ დანდობილნი, რადგან ზური წინა
მხარში *) ავრე რიგად არ მოდის.

მე ხელში მაჭეს რამდენიმე თხრის
წერილი უსტა ვაჭრებისაგან მეზატო-
ნებთან გამოგზავნილი.

აი ვაზიო ერთის ამ ვაჭრის წერი-
ლისა.

«მის მძაღლ შატოხსებს მგასხე-
ნებთ თქვენის კეთილშობილებას და ახ-
ლა თუ ჩემს ამბავს ივითხავთ მხლას,
გნაზ, ძრინ კარგად განლაგართ ჩემი
სახლობით, მაგრამ თქვენმა ნათლულმა
ფეხები აიღვა რაქნა რადემდინ უნდა
იყოს მოუნათლავი და ერთი სწორეთ
შამატუბინეთ რომა მეც ვაჭი ვარ შა-
კემზადო შენი ჭირიმე გნაზ ი. ა—
და ერთი კარგი სასხლეტი ბურჯავიც და-

*) ანაგიდამ დაწყებული, თითქმის თელავის
მარამდე.

ში მესხს გვერდით უდგა, მეტი წინ-
დახედულობა მართებდა; ჩვენ აქ არ
შეგვიძლიან დაფუფასოთ მესხის და
«დროების» სამსახური საზოგადოე-
ბისათვის; ეხლა ამის დრო არ არის
და მომავალი ისტორია უფრო სა-
ფუძვლიანად იტყვის თავის სიტყვას
ამ საგანზე. პ. შ—ს თავის წერილ-
ში მოჰყავს სერგეი მესხის ბიოგრა-
ფია, «დროების» ისტორიადამ რამ-
დენიმე ფაქტი ბევრს რასმეს მოგვი-
თხრობს როგორც თვით «დროება-
ზე», აგრეთვე მის თანამშრომლებზე,
თუმცა ზოგიერთნი ამათგანნი, არ
ვიციოთ რისთვის, დაუფიწყნია ბ. პ.
შ—ს. დავიწყებულთა შორის არიან
ისეთი თანამშრომლები, რომელთაც
დიდი ღვაწლი მიუძღვით «დროების»
წინაშე. ძიდევ ორი სიტყვა ბ. პ.
შ—ს: ღიალ, ბ. პ. შ., «მწერლო-
ბაში ბევრჯერ მუშაობს უწერთელი
კალამი, შეუმუშავებელი ხასიათი,
დაუმჯდარი გონება და მსუბუქ ფრთი-
ანი აზროვნება», ამ შემთხვევაში
თქვენ მართალი ბრძანდებით.

აქ სულის მოთქმა საჭიროა. «ივე-
რიის» იმავე №-ში დაბეჭდილია ბ.
მოჩხუბაჯიძის დრამის დაბოლოებე-

მაკლე და ერთი სამიადე ვიგნის
ტოლა ებოცა, და მე ვიცი როგორც
გადავიხდი თქვენს ვალს და ღვინოცა,
რას ბძანებთ სწორეთ შემატუბინეთ,
როცა შამამივლით მამინ ჩამოვად და
ესელა ამ ბიჭს გიგზანით და ამ ბიჭს
გამატანთ ჩემ წილსა უფრძენსა და
ტუბილსა, და ცოტა რამ სიმინდსა, გე-
ბი სიმინდიც გამატანეთ ქათმებისთვისა
და მოვივითხავ უმწვილებსა სიყვარული-
თა.

«გწერთ თქვენი ნათლიამა გუერქა.»
აი ამისთანა წერილებით თავადობა
უსრულებს ვაჭრის თხრისას.

რას სათქმელია ერთი საკრეფელს უფრ-
ძენი და ორი ჩაფა ტუბილი, მაგ-
რამის არის, რომ ერთს მისდევს
მეორე, მესამე და რატომ მეორეც არა.

რთველის დროს და საზოგადოდ შე-
მოდგომობით გულ უხვია ადამიანი,
მაგრამ წინ რომ მაგური ზამთარა,
იმანე ფიქრია საჭიროა. მამინ არც
ღვინოა, არც ფული და, რასაკვირველია
ჩვენი მეზატონეები მიჭმარებენ სოლმე
ისე ვაჭრებს და თუმანს ათ შაურად
იღებენ.

სწორედ ბედნიერები იქნებოდნენ ჩვენი
მეზატონეები, რომ რასაც ბუნება აძლევს,
იმის მოხმარების და მოკლის თავი ჭინ-
დეთ, მაგრამ...

ჩუსკეთი

— ზეტურბურგადგან იწერებან, რომ ამ
კვირამი დაბრუნდება უკან საზურობილე-
თა გომიტეტის თავს-მჯდომარე ვაჭრინ-
გრასკო, რომელიც შუა რუსეთში მოგ-
ზაურობდა. ხმება, რომ ციმბირში ვაჭ-
რანობის მდგომარეობას ვაჭრებზე-
სკებენ.

— ვაჭ. «რუსკია ველომოსტია»-ს შე-

(წამება წმინდა მეთევან ღვთისმშობლისა);
ამ დრამაზე აქ არაფერს არ
ვიტყვიოთ, რადგანაც იმის შესახებ
«დროება» ეცდება ცალკე წერილში
უფრო ვრცლად მოვლასარაკოს მკი-
თხველებს.

«ივერიის» მთელს ორს წიგნში
სანუგეშომნი არიან მხოლოდ თ. რაფ.
შრისთავის ლექსები («ობოლი», ტე-
ტიას მოთქმა» და «აღზვეანს მოე-
ლა»). ეს ლექსები სწორედ ფრიად
შესანიშნავნი არიან როგორც თავი-
ანთ შინაარსით, აგრეთვე ფორმით
და ლექს-წყობილებით. ზემოთ და-
სახელებული ლექსები, როგორც
«ივერიაშივე» უფრო აღრე დაბეჭ-
დილი ლექსები იმავე ავტორისა, გა-
ნირჩევიან მდიდარის რითმით, ენით,
აზრის ნათლად გამომხატველობით და
სინამდვილით. ლექსებს არ ეტყობა
სიტყვების მეტ-ნაკლებობა და სა-
ზოგადოდ ძალადობა. შეგვიძლია
ვსთქვათ, რომ რაფ. შრისთავი თავის
ნიჭით, როგორც იგი იხატება მის
უკანასკნელ ნაწარმოებებში, ედრება
ვერობიელ საუკეთესო სახალხო პო-
ეტებს. ზოგიერთებს კიდევაც უნდა
ვამჯობინოთ იგი აზრის სინათლით

უტყვია, რომ იმ ხარჯის გარდა, რაც
ბუჭვლის საქმეების უმისწერის გამოუკმა-
ზე მიდის, შინაურ-საქმეთა... სამსახურ-
თა ოსოულობის მომავალი 1884 წლის-
თვის კიდევ 20000-ს მანეთზე მეტს
სესხსაო ტენზორთა გომიტეტების, ტენ-
ზორების და საბუქდავების და ლიტო-
გრაფიების ინსპექტორების შესანახავა-
თაო.

— ვაჭ. «რუსკია გუერობა» იწერება,
რომ რაზანის საქალა გომნაზიის შე-
გირდმა-ქალებმა მოიწადინეს შინაშეიდი გა-
დახანდათ დიდი მწერლის ტურგენიე-
ვისთვისაო, მაგრამ ნება არ დართესო,
თუმცა ამ გომნაზიის შედაგოკებსაც კი
სურდათ შინაშეიდის გადახდაო.

— «Новое Время» ვაჭუბინებს,
რომ წარსულს კვირას ბერლინის ბირჟაზე
მოუწადინებიათ რუსულის ფულის გურ-
სის დაცემა ტურგენიევის დასაფლავების
გამო, რადგან დემონსტრაციებს მოე-
ლოდნენ; «ვოლტის სააგენტომ» ტე-
ლეგრაფით მისწერა თავის პეტერბურგელ
აგენტებს: «ფულსებს ნუ დაზოგავთ;
მოიწერეთ ტელეგრაფით უკველივე დაწე-
რილებით შესახებ უწყობისა, რომე-
ლიც მოხდება ტურგენიევის დასაფლავე-
ბის დროს».

უცხოეთი

— ალექსანდრიდგან მოსული ამბე-
ბიდან ვტუბილობთ, ვითომც კვიპ-
ტის კანონ-მდებელი რჩევის წიგნებს განზ-
რახვა ჰქონდეთ ინგლისის წინააღმდეგ
დემონსტრაციის მოახდინონ. რა წამსვე
რჩევა შეიკრიბება, ისინი გამოაცხადებენ,
რომ იმათ სურთ სხდომებზე ყოფნა
იქამდის, ვიდრემდის მხარეს ინგლისის
ჯარები დაიტყდნენ.

— ინგლისური ვაჭ. «სტანდარტ»-ს

და გრძობის უბიწობით. შოველი
მისი სიტყვა მკითხველის გულში რჩე-
ბა და მოქმედობს მის გრძობაზე.

მ. რაფ. შრისთავმა უკველების
ძველი აიგო ჩვენს მწერლობაში თა-
ვის უკანასკნელი მოღვაწეობით. მუშ-
ცა საზოგადოთაც დიდი შრომა მი-
უძღვის, მაგრამ უკანასკნელი პერი-
ოდი სწორედ საუკეთესოა მისს ხან-
გრძლივს მწერლობაში. სამწუხაროა
მხოლოდ, რომ იგი მხოლოდ ამ
ორი სამი წლის წინად დაადგა თა-
ვის ნიჭიერების შესაფერს გზას; მხო-
ლოდ ეხლა გამოიჩინა თავის ნიჭიე-
რების სრული სიმძლავრე და მით
დაამშვენა ჩვენი მწერლობა.

ბოლოს უნდა ვსთქვათ, რომ «ივე-
რიის» უკანასკნელი №-ს სწორედ
უფერულნი არიან; ფერს აძლევს მხო-
ლოდ შრისთავის ლექსები. «ივერიის»
უნდა ვაუწყოთ, რომ ისეთი წერი-
ლების ბეჭდვა, როგორნიც არიან
ბ. პ. შ—ს წერილები, ყურნალს კარგს
სამსახურს ვერ გაუწყვეს.

ა. ნანუშვილი.

დაუბრუნდა წერილი იმაზე, თუ რას ელტვის ინგლისი ეგვიპტეში. ის აღწევს გლადსტონის და სხვათა დანახვას, ვითომც ინგლისს ეგვიპტეში მართლ არეულობის მოსპობა და გარე, მკვიდრი მმართველობის დაყენება სურდეს, და ამტკიცებს, რომ ინგლისს ეს კი არა სურს, — იმას სურს ეგვიპტეში თავის იდეები, თავის განმეობის სისტემას, თავის გავლენა და მიფლობელობა დაამყაროს, ვინც ამას უარყოფს, იმას მართლის თქმას არ უნდათ. მართლაც რომ ცდილობს კიდევ ინგლისი ეგვიპტეში გარე განმეობის დაარსებას, ის მაინც იმაში ვერ დაგვაყვარებს, რომ ეგვიპტეს თვით-მმართველობა ექმნება.

— ერთი ინგლისელი, ვერსი ლოკუტი, დიდხანსა ჭეჭრებს რეინის უზის გაყვანას სპარსეთის ყურს და შუა გულ დედა-მიწის შვიის ნაპირს შუა, ბოლოს მოიძღვრს თვითონ დაუთავადებინა ის ადგილები, რომელსაც ამ გზამ უნდა

გაიაროს და ამისათვის 1878 წელს წავიდა სამოგზაურად. ესაა ის უკან დაბრუნებულა, აუწერია თავის მოგზაურობას და შეუდგენია ასალი გზის პრექტა ამ სიახურით: «ჩვენი მომავალი გზა ინდოეთშია. ვერსი ლოკუტი ამბობს: ჩემი მოგზაურობის განმავლობაში სულ ის შემოვიდა აქაური მცხოვრებლებისაგან, რომ იმათ უნდათ რეინის გზა. ტრადიციისში, ორბში და დიარბეტიში მდიდარმა მცხოვრებლებმა გამოძინადეს — ჩვენ მზათა ვართ უოკელ ნარი შემწობა გაუწიოთ ინგლისელებს რეინის გზის გაკეთებაშია. რადგანაც თვითონ იმათ არ შეუძლიანთ, დასაჯულით ეკრება უნდა დაესმაროს ამ საქმეშია. დასასრულს ავტორი ამბობს, რომ მთელი დედა-მიწის ზურგზე არც ერთს რეინის გზას არ შეუძლიან იმოდენი პოლიტიკური თუ კომერციული სარგებლობა მოიტანოს, რამდენიც ამას ინდოეთის გზას შეუძლიანო.

განსხვავებული
გერძო საქმეების ვეკილი ვ. მ. ალბედინსკი
გადავიდა სოლოლაკის ქუჩაზედ, სპანდარიანის სახლში, № 42, საადგილ-მამულო ბ. ნ. კის პირ-და-პირ.
(10—10)

რავ მაჟინაჲ მუჟაოგა იყინა. (10—4)
სასტუმრო (გოსტინიცა) „იტალია“
ნიკოლაევის ქუჩაზე, მოროცოვის ძეგლის (პამიატნიკის) მახლობლად ჩემს საკუთარს სახლში.
ნომრები მშენებრად მორთულია ელექტრიულის დასარკვის ზარით და მარდი მოსამსახურებით. სასტუმროსა აქვს ბუფეტი. შასი ნომრებისა, საქმელებისა კარკით და სასმელებისა ნაკლებია.
სასტუმროს ჰატრონი ბ. სარქისოვი.
(30—14)


დავით კაჯალი
აწარმოებს ეველ ნაირ საქმეებს, განსაკუთრებით სასისხლო სამართალში.
საპიორის ქუჩა, ზაბლოცკის სახლი.
(10—7)


თბილისის ჯარების ტანთ-სახელის სამეარკალო, რომელის ნავთლული იმყოფება, იწვევს საგუაოდ გეარკალ კასკას და კალაგს, რომელთაც მიუაუკლიანთ მუნღიკაგის და უინლაგის ხალით კარკა და აგრითჲ იმ გეარკალ კასკას და კალაგს, რომელთაც ფანდის საპე-

ს ტ ა მ გ ა
მ ვ თ ი მ ე ი ვ. ხ ე ლ ა ძ ი ს ა.
თბილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩ. ქაშუეთის კვლესიის შენობაში.
იღებს ყოველ გვარ სასტამბო საქმეებს საბეჭდავად: გაზეთებს, ქურნალებს, წიგნებს, ბროშიურებს, აგრეთვე ყოველ-გვარ ბლანკებს სწოტებს, განცხადებებს, აფიშებს, პირობაებს, და სხვ.
სისუფთავეზე და ადნობნულ დროზე საქმის შესრულებაზე სტამბა პირობას აძლევთ საქმის მომტანთ.
სტამბა გისრულობს კორრექტურის გასწორებას და ბროშიურების გაკეთებას, უკეთუ ზაგაზის მომკემნი ისურვებენ.
მსურველთ ვთხოვთ ამ ადრესით მომმართოთ.
Тифлисъ, типографія Ефимія Ив. Хеладзе. (100—22)

ინგლისის მაღაზია
Maison de confiance
შეადარეთ ჩვენი ჩაი მოსკოვის ჩაის
1 შ. 10 კ. 1 შ. 40 კ.
— — 1—20 — — 1—60
— — 1—40 — — 1—80
— — 1—60 — — 2—
— — 1—80 — — 2—50
საუგუესო 2— „ — — 3— „
იქვე ისეიდება სხვა საქონელი: თოფები, რევილვერები, კრავატები, ტურ-

ჭელი, ჩაიდნები, გასადუბები, დასები, კოვჩები, ტანტუბი, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კავკასი, განსაკუთრებული მკურნალები, მაგნეზია, უნჯირები, კლეონგა, წინდები—გაცის და ქალის, სულ-სასოცება, მაკინტოშის გაღვნიერი — სულ ეველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაჲ მალახიში.
ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდან 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნის არაფერს არ ისიცის.
(100—48)

ინგლისის მაღაზიაში
თიის-ამოაჟანი  **გაპ-განსტარი**
ამაგრებს თმას და აღინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუმი-სა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.
(100—49)
აქვე ისეიდება ქინის ზომად: თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სწოტები თავის ტკივილს მოსასპობლად, ტუალეტის საზონი, ღუსები და სხვ.

საგლობუსო  **კალმები**
რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთაო ქაღალდი. ერთად-ერთი, სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებული სხვა-და-სხვა გვარის კალმები, ფოკლის „სელისათვის“—25⁰/₁₀ იაფად, ვინც სსვან. იქვე: მელანი, ქაღალდი, განკურტები, რვეულები, ლაქი, ვარანდაში, პენალი, კალმები, ბუძაფნიკები, ზორტ-სიგარები, ალბომები, რამეები, მაგნატლები, სამართლები, სანთელი, სალესი, ცრაშუკები ჭურჭლების საწმედად (ბორაგსი), თეთრეულისათვის, პატარა სალესი, ატაგისათვის კლიონკები, ტანტები, სავარმლები, სარკები, სავარცხლები, ბუნძე-ნნი, ზარები, ბინოკლები რულეტები, ვატრავსები, მზის-სათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწვეები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, ზომილი, ქამრები, სარტყლები, საყუფური, პრობკები, საზრობკები, გრანები, ფილტრები, შილტკუნი თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტისანი მაკინტოშები, გრანები, საექიმო ქაღალდი გატერ-გლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.
პატაუკი—20 კ. (100—97)

მაზანდა
ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, ღუქნებში და ხელდახელ 1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე 1883 წ.
გამომცხარი შური რუ-
სიის ფქვილისა — — 1 გარ. 5 კ.
აქაურის ფქვილისა: პირ-
ველის ხარისისა — — 1 გ. 2 1/2
მეორისა — — — 1 გ. 2 კ.
იმავე ფქვილ. თორნუში გამომცხარი
პირველის ხარისისა — 1 გ. 5 კ.
მეორისა — — — 1 გ. 3 კ.
მესამისა — — — 1 გ. 2 1/2
ჯვარის-მამის შური:
პირველის ხარის. ლავში 1 გ. 5 კ.
მეორის ხარის. ლავში 1 გ. 3 1/2
მესამისა — — — 1 გ. —
ძროხის ხორცი:
პირველის ხარისისა — 1 გ. 8 კ.
მეორის — — — 1 გ. 7 კ.
სუვი . . . — 1 გ. 15 კ.
ცხვრის ხორცი — 1 გ. 8 კ.

რეინის გზა
თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით.
თბილისიდან საშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან.
თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა.
ბაქოდან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა.
ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან.
ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან.
ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა.
ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა.
ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა.
ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.